ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1459188

ნომერი: AR1245867

თარიღი : 21.08.2014

გაცემის თარიღი : 05.09.2014

გაცნობის თარიღი : 05.09.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გიორგი ძოწენიძე , N 6 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დონარა დოლიძე პ/ნ 01010013456
- თბილისი, რამაზ ჩხიკვაძის 8, ბინა 10

ორგანიზაცია:

- შხარა 91 კოდი: 204958554

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის

საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი #AR1245867 21.08.2014 განცხადების პასუხად, გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით 01.14.02.013.002 სამსახურის #1345854 23.06.2014 გადაწყვეტილებით განხორციელებული მშენებლობის დადასტურებაზე თანხმობაა გაცემული, რის შემდეგაც საკითხი უნდა დაგეყენებინათ შენობა–ნაგებობების ექსპლუატაციაში მიღებაზე, იმ შემთხვევაში თუ ავტოფარეხები პროექტის ნაწილია აღნიშნული ასევე უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული დადასტურების აქტში და ექსპლუატაციაში უნდა მიიღოთ მრავალბინიან შენობასთან ერთად. თუ ზემოთაღნიშნული დადასტურების აქტის საფუძველზე შენობა–ნაგებობებს მიიღებთ ექსპლუატაციაში და დაიტანთ საკადასტრო გეგმაზე, როგორც კანონიერ ნაგებობებს სამსახურს შეგიძლიათ მომართოთ დამატებითი ავტოფარეხების მოსაწყობად მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენაზე, რომელიც გაიცემა ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 29 მარტის #4-13 გადაწყვეტილების მუხლი 41–ის შესაბამისად (საცხოვრებელი ზონების ცალკეულ ქვეზონებში სატრანსპორტო საშუალებების შენახვის რეკომენდირებული სახეობაა ავტოსადგომები რელიეფის გამოყენებით (მიწის ქვეშა ავტოსადგომები)). ხოლო იმ შემთხვევაში თუ დადასტურება არ გულისხმობს ტერიტორიაზე მშენებარე ავტოფარეხებს უნდა მოითხოვოთ აღნიშნული აქტის გაუქმება და შემდეგ სამსახურს მომართოთ პროექტის კორექტირებაზე. დღევანდელი მდგომარეობით თქვენ მიერ მოთხოვნილი საპროექტო ობიექტი საკადასტრო გეგმაზე დატანილია მშენებარედ, შესაბამისად მშენებარე ობიექტზე სამსახური ახალ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს ვერ გასცემს.

მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მომზადებისთვის განკუთვნილი ვადა განისაზღვრება 12 სამუშაო დღით. განცხადება სამსახურში შემოსულია2014 წლის 21 აგვისტოს (განმეორებით 01 სექტემბერს) საკითხის განსახილველად (პირველადი განაცხადიდან) სამსახურმა გამოიყენა 9 სამუშაო დღე. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის83–ე მუხლის შესაბამისად თქვენ გეძლევათ განაცხადის გამოგზავნიდან 15 დღიანი ვადა ახალი საკადასტრო გეგმის წარმოსადგენად, რომლის შემდეგ სამსახურს დარჩენილი აქვს 3 სამუშაო დღე. თუ სამსახურის მიერ დანიშნულ ვადაში არ იქნება წარმოდგენილი მოთხოვნილი დოკუმენტაცია საკითხი დარჩეს განუხილველი.

გაცნობებთ, რომ ახალი განაცხადის წარმოდგენამდე ადმინისტრაციული წარმოების ვადის დინება არის შეჩერებული და განახლდება ხსენებული განაცხადის წარმოდგენის შემდგომ.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.